

თემა №1 ბიზნესის არსი და მნიშვნელობა

მასალა დისტანციური (ონლაინ) ფორმატით სწავლებისათვის. სილაბუსით გათვალისწინებული თემა №1 (ნაწილი: პირველი). 5 კრედიტიანი.

თემის მასალა იხილეთ სახელმძღვანელოში: უ. სამადაშვილი. ბიზნესის საფუძვლები (მეექვსე გამოცემა, გადამუშავებული, დამატებებით). თეორია, დედააზრი ჩანართით, პრაქტიკუმი, სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომების თემატიკა. თბ. 2016. სილაბუსით გათვალისწინებული თემა №1 გვ.19-46; გვ. 364-368.

- 1.1.ბიზნესის არსი, წარმოშობა და განვითარება
- 1.2.ბიზნესი და ეკონომიკა
- 1.3.ბიზნესის საფუძვლების საგანი
- 1.4. ბიზნესის საფუძვლების მიზანი და მნიშვნელობა
- 1.5.ბიზნესის საფუძვლების ამოსავალი ცნებები
- 1.6.ბიზნესის, როგორც სამეურნეო საქმიანობის ფუნქციები

ნაწილი: პირველი (გვ.19-35; გვ. 364-365)

1.1.ბიზნესის არსი, წარმოშობა და განვითარება

ყოველი მეცნიერული დისციპლინის შესწავლა იწყება მისი საგნის განსაზღვრებით, ამიტომ ბუნებრივად ისმის კითხვა—**რას შეისწავლის ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები?**—წინამდებარე სასწავლო დისციპლინის სახელწოდებიდან გამომდინარე მას საქმე აქვს ბიზნესთან. სწორედ ამიტომ, უწინარეს ყოვლისა, უნდა გაირკვეს ტერმინის—“ბიზნესი” არსი და ეტიმოლოგია. ეს ამოცანა არსებითია იმის გამო, რომ ქართულ ენაში ტერმინი—“ბიზნესი” გამოიყენება ორადი მნიშვნელობით.

სიტყვა - „ბიზნესი“-ინგლისური წარმომავლობისაა და ნიშნავს „საქმეს“, ანუ ადამიანთა სამეურნეო საქმიანობას მოგებისა ან რაიმე ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით, რომელიც დაკავშირებულია გარკვეულ რისკთან. ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ “ბიზნესი”, **როგორც რეალური სამეურნეო საქმიანობა**, ეკონომიკური მოვლენა და „ბიზნესის ადმინისტრირება (საფუძვლები)“, **როგორც სასწავლო დისციპლინა** ანუ მოგების მიზნით სამეურნეო საქმიანობის ორგანიზების ცოდნის მწყობრი სისტემა, ტექნოლოგია.

როგორ უნდა გავიგოთ ბიზნესი, როგორც რეალური მოვლენა, ვიწრო და ფართო გაგებით?—ბიზნესი, როგორც რეალური ეკონომიკური მოვლენა, ფართო გაგებით, არის საქონელწარმოება, რომელიც აღმოცენდა კაცობრიობის ისტორიის გარიჟრაჟზე და გარკვეული ფორმით არსებობდა მეურნეობის საქონლური ორგანიზაციის პირობებში საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე, ხოლო, ვიწრო გაგებით, ბიზნესი კაპიტალიზმის (საბაზრო ეკონომიკის) პირმშოა, რომლის დროსაც დაქირავებული შრომის საფუძველზე მთელი პროდუქცია იწარმოება გასაყიდად მაქსიმალური მოგების მიღებისათვის.

რომელი უფრო “ხნიერია” ბიზნესი, როგორც რეალური მოვლენა, თუ ბიზნესი, როგორც სასწავლო დისციპლინა? – მართალია, ბიზნესი, როგორც რეალური ეკონომიკური მოვლენა, საზოგადოების ისტორიის გარიჟრაჟზე (შრომის პირველი, მეორე და მესამე დიდი საზოგადოებრივი დანაწილებისას) იშვა, მაგრამ თვით ტერმინი „ბიზნესი“ და „მეწარმეობა“ სამეცნიერო და სამეურნეო ბრუნვაში შემოვიდა XVIII საუკუნეში, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან ერთად. ამავე პერიოდიდან დაიწყო მათი თავდაპირველი თეორიული გააზრებაც. ტერმინი „მეწარმეობა“ პირველად შემოიტანა რიჩარდ კანტილიონიმ (1680-1734) საფრანგეთში და შემდეგ გამოიყენეს გერმანიასა და ავსტრიაში, ხოლო ტერმინი „ბიზნესი“ იშვა ინგლისში და შემდეგ გავრცელდა აშშ-ში. ორივე ტერმინი აღნიშნავდა ვაჭრობას, მისი მეშვეობით გამდიდრებას და XX ს-ის 50-იან წლებამდე განიხილებოდა, როგორც იდენტური (იგივეური). პირველი მეცნიერი, რომელმაც გამიჯნა ცნება “ბიზნესი” და “მეწარმეობა,” არის ამერიკელი პიტერ დრუკერი.

რა ისტორიულმა მიზეზებმა განაპირობა, ვიწრო გაგებით, ბიზნესის წარმოშობა?—ვიწრო გაგებით, ბიზნესის წარმოშობა განაპირობა ორმა ძირითად-

მა მიზეზმა. ესაა: 1)ორნაირად, იურიდიულად და ეკონომიკურად თავისუფალი სამუშაო ძალა; 2)კაპიტალის თავდაპირველი დაგროვება გარკვეული ადამიანების ხელში და ამ კაპიტალის გამოყენება წარმოების ორგანიზებისთვის (სამუშაო ძალის დაქირავება, წარმოების საშუალებების შექმნა და მათი ამა თუ იმ ფორმით კომბინაცია) მოგების მიღების მიზნით. აღნიშნული პირობების აღმოცენებას ხელი შეუწყო XVI-XVIII საუკუნეებში უპირატესად პირად შრომაზე დამყარებული წვრილი გლეხური და ხელოსნური მეურნეობების კონკურენციაში სუსტების დამარცხებამ, გაკოტრებამ და გამარჯვებულების სულ უფრო გამდიდრებამ, რომლებიც აფართოებდნენ თავიანთ წარმოებას და გადატაკებულ გლეხებსა და ხელოსნებს ქირობდნენ. **ასე წარმოიშვა დაქირავებულ შრომაზე დამყარებული კაპიტალისტური საქონელწარმოება, ანუ კაპიტალისტები, დღევანდელი გაგებით კი ბიზნესმენტა, მეწარმეთა ფენა.**

ისტორიულად კაპიტალის თავდაპირველი დაგროვება დაიწყო ინგლისში XVს-დან და გრძელდებოდა XVIIIს-მდე. ინგლისში საფეიქრო წარმოების სწრაფმა განვითარებამ მნიშვნელოვნად გაზარდა მოთხოვნილება მატყლზე. შესაბამისად საჭირო გახდა მეცხვარეობის განვითარება. ამან კი, თავის მხრივ, მოითხოვა საძოვრები. მიწათმფლობელებმა დაიწყეს ხენა-თესვით დაკავებული გლეხების იძულებითი აყრა მიწიდან და მათი მიწების მიტაცება, შემოღობვა. ამას მოჰყვა უმიწაწყალო გლეხთა არმიის გაჩენა. გაჩანაგებული და გაძარცვული გლეხები იძულებულნი ხდებოდნენ წასულიყვნენ ქალაქებში და გაეყიდათ თავიანთი სამუშაო ძალა. აქედან გავრცელდა თქმა: “ცხვარმა შეჭამა ადამიანიო”

რას ნიშნავს–ბიზნესი ანტიისტორიული ხასიათის მოვლენაა?– ბიზნესი (საქმე, საქონელწარმოება) ანტიისტორიული ხასიათის, კაცობრიობის მთელი ისტორიის თანმდევი, ყველა ეკონომიკური სისტემისათვის დამახასიათებელი მოვლენაა. ასე, მაგალითად, ბიზნესს (საქმეს) ვხვდებით ჯერ კიდევ პირველყოფილ თემურ საზოგადოებაში, როდესაც მიწათმოქმედებას გამოეყო მეჯოგეობა და ამის საფუძველზე გვარებსა და ტომებს შიგნით, ასევე მათ შორის დაიწყო ურთიერთხელსაყრელი ბარტერული გაცვლები (საქონელი - საქონელი) და ვაჭრობა ე.წ. საქონელ-ეკვივალენტის მეშვეობით, ე.ი. საქმეს (ბიზნესს), ფართო გაგებით, საფუძველი ჩაეყარა მეურნეობის საქონლური ორგანიზაციის პირობებში.

ბიზნესის განვითარებას კიდევ უფრო ხელი შეუწყო ხელოსნობისა და ვაჭრობის ცალკე დარგად ჩამოყალიბებამ. აღნიშნულის გამო, მონათმფლობელური და ფეოდალური წარმოების წესის წიაღში ბიზნესის არსებობაზე მეტყველებს, წვრილი გლეხებისა და ხელოსნების მიერ ნამეტი პროდუქციით, ნატურალური და ფულადი ფეოდალური რენტით ვაჭრობა, მევახშეობა, მონებით ვაჭრობა და სხვა.

ბიზნესმა თავისი განვითარების თვისებრივად ახალ საფეხურს მიაღწია კაპიტალიზმის ანუ ეკონომიკის საბაზრო ორგანიზაციის პირობებში, როდესაც წარმოების ყველა ფაქტორი (კაპიტალი, მიწა და თვით შრომა) ყიდვა-გაყიდვის ობიექტია და მთელი პროდუქცია იწარმოება გასაყიდად მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით. სწორედ ამიტომ ბიზნესი ვიწრო გაგებით, კაპიტალიზმის (საბაზრო ეკონომიკის) პირმშოა, რომელიც მასთან ერთად იცვლება და ვითარდება.

როგორ დამოკიდებულებაა ბიზნესისადმი საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ საქართველოში და რითი განსხვავდება იგი მბრძანებლურ-საბჭოურისაგან? – ბრძანებლურ-საბჭოური ეკონომიკური სისტემის პირობებში, „პერესტროიკამდე“ ანუ გასული საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანებამდე, ბიზნესი მიჩნეული იყო მეურნეობრიობის წმინდა კაპიტალისტურ ფორმად, რომელიც ემყარება სხვისი შრომის შედეგების მითვისებას და მოტყუებას. ამიტომ საბჭოთა იდეოლოგია გმობდა და დევნიდა კერძო საკუთრებასა და მეწარმეობას, როგორც კანონით, ისე მორალურად. ცხადია, ასეთ პირობებში არც ბიზნესის სწავლების ამოცანა იდგა.

საბჭოური სოციალიზმის პირობებში „მეწარმეობა“, „საქმოსნობა“ და „კომერსანტობა“ საღანძღავ სიტყვებად ითვლებოდა და მხოლოდ ნეგატიური მნიშვნელობით იხმარებოდა. ინიციატივიანი, თაოსანი მეურნეებისადმი ამგვარმა უსამართლო, არაზნეობრივმა მიდგომამ გერგილიანი, მეწარმეობის სულისკვეთების ადამიანები სახელმწიფოებრივი სტრუქტურების „ჩრდილში“ მოაქცია და არაღვანულად აამოქმედა. ყოველივე ამან მეწარმეების ნიჭი და ენერჯია მიმართა არა იქითკენ, თუ როგორ გაეუმჯობესებინათ საქმიანობა და მიეღოთ გაზრდილი მოგება, არამედ როგორმე აერიდებინათ თავი ბიუროკრატიული ბარიერებისა და ხელოვნურად შექმნილი წინააღმდეგობისთვის. იმხანად მეწარმეობა თავის კომერციულ საიდუმლოებას ავლენდა სპეკულიაციის მეშვეობით, საკომერციო და საკომისიო ვაჭრობის ფორმით. მეწარმენი (იმდროინდელი გაგებით, „საქმოსნები“) ქმნიდნენ კერძო საწარმოებს სახალხო მოხმარების საგნების საწარმოებად, ავტომომსახურებისათვის და სხვა. სახელმწიფო ეკონომიკაში არსებული სიძნელენი ხელს უწყობდა მეწარმეთა საქმიან აქტიურობას. სწორედ ამიტომ საგრძნობლად გაიზარდა ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბები.

XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს გამოჩნდა ზოგიერთი კარგად დავიწყებული მეურნეობრივი ფორმა: ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა, იჯარა, კოოპერატივი, რაც ახალ ეკონომიკურ აზროვნებას აყალიბებდა, ხელს უწყობდა შრომით და სამეწარმეო აქტიურობას. ამ პერიოდში წამოწყებულმა გარდაქმნებმა სისტემური ცვლილებების ანუ საბაზრო ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლის აუცილებლობა განაპირობა, რადგანაც გაბატონებული სახელმწიფო საკუთრების პირობებში განხორციელებული ყველა სამეურნეო ღონისძიება კრახით დამთავრდა. ყოველივე ამან კი მოითხოვა პრინციპულად შეცვლილიყო დამოკიდებულე-

ბა ისეთი მოვლენებისადმი, როგორცაა როგორცაა კერძო საკუთრება და მეწარმეობა და მომხდარიყო მათი საკანონმდებლო წესით დამკვიდრება და განმტკიცება.

ამჟამად, საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ საქართველოში მეწარმეობა კანონით ნებადართულია (არსებობს “საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ”), მაგრამ მეწარმეობის იურიდიული უფლების მიღება და ნამდვილი, გერგილიანი მეწარმედ ჩამოყალიბება ერთი და იგივე როდია. მეწარმეობის მზაობისათვის საჭიროა სწავლება, გარკვეული დრო და გამოცდილება. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ საქართველოს დღევანდელი მოსახლეობის დაახლოებით 75% საბჭოთა თაობაა, რომლისთვისაც, იმხანად გაბატონებული ეკონომიკური სისტემისა და იდეოლოგიის გამო, არავის უსწავლებია და, მაშასადამე, უცხოა გამდიდრების ანუ ბიზნესის წარმართვის მეთოდები. ვფიქრობ, სწორედ ეს არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი საქართველოში ფართოდ გავრცელებული უმუშევრობისა და ეკონომიკური სიდუხჭირისა.

ამგვარად, ჩატარებული რეტროსპექტიული ანალიზიდან ირკვევა, რომ ბიზნესს ფართო გაგებით, ანუ საქონელწარმოებას დიდი ხნის ისტორია აქვს. იგი აღმოცენდა კაცობრიობის ისტორიის გარიჟრაჟზე და ამათუიმ ფორმით არსებობდა საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე. ბიზნესი, ვიწრო გაგებით კი, რომელიც დაქირავებული შრომის საფუძველზე მაქსიმალური მოგების მიღებისთვის ხორციელდება, კაპიტალიზმის პირმშოა, საბაზრო ეკონომიკური მოვლენაა. თავისი არსით, ბიზნესთან ახლოსაა მეწარმეობა, ხოლო ბიზნესის (მეწარმეობის) სუბიექტთან - ბიზნესმენი (მეწარმე)

1.2. ბიზნესი და ეკონომიკა

რა საერთო და განმასხვავებელი ნიშნები ახასიათებს ბიზნესსა და ეკონომიკას?- ბიზნესი (მეწარმეობა) ანუ საქონლისა და მომსახურების წარმოება მოგების მიღების მიზნით, ეკონომიკაში ხორციელდება. ამას გარდა, ეკონომიკის სუბიექტები (ფირმა, საოჯახო მეურნეობა, სახელმწიფო) გამოდიან რა სხვადასხვა საქმიანი გარიგებების მონაწილეებად, ამავედროულად, გვევლინებიან ბიზნესურთიერთობების სუბიექტებადაც. სწორედ ამიტომ „ბიზნესი“ და „ეკონომიკა“ საკმაოდ ახლო მდგომი მოვლენებია.

მიუხედავად ასეთი მსგავსებისა, ეკონომიკასა და ბიზნესს შორის არსებობს განსხვავებაც, სახელდობრ:

- ეკონომიკა უფრო ფართო ცნებაა. მასში შედის, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სექტორი, ნატურალური მეურნეობა და მრავალნაირი არაკომერციული სტრუქტურები. ბიზნესში (მეწარმეობაში) კი მოიაზრება მხო-

ლოდ კერძო, კომერციალიზებული სექტორი, სადაც საქონლისა და მომსახურების წარმოება მოგებისთვის ხორციელდება და შესაბამისი კანონმდებლობით რეგლამენტირდება;

- ეკონომიკა მოიცავს, როგორც მიკრო, მეზო, მაკრო და მეგა დონეებს, ისე ამ დონეებზე მიმდინარე მოვლენებსა და მიღებულ გადაწყვეტილებებს. ბიზნესი (მეწარმეობა) კი უპირატესად მიკროეკონომიკაში ხორციელდება და გულისხმობს მეწარმის მიერ დამოუკიდებლად მიღებულ გადაწყვეტილებებს იმასთან დაკავშირებით, თუ რა, როგორ და ვისთვის იქნას წარმოებული;
- ეროვნული ეკონომიკის სუბიექტია სახელმწიფო, მეწარმეობისა კი - თავად მეწარმე. სახელმწიფო მეწარმეთა საქმიანობას არეგულირებს მთელი ეკონომიკის მასშტაბით, მეწარმე კი ეკონომიკური რესურსების ორგანიზებას ახდენს ფირმის ფარგლებში;
- სახელმწიფო ახდენს მთლიანი ეროვნული პროდუქტის წარმოების ორგანიზებას, მეწარმე კი ორგანიზებას უკეთებს გარკვეული საქონლისა და მომსახურების წარმოებას;
- სახელმწიფო შეიმუშავებს ეროვნული მეურნეობის განვითარების ინდიკატურ გეგმას, მეწარმე კი - ბიზნეს-გეგმას;
- სახელმწიფო, არეგულირებს რა ეკონომიკას, საკუთარ თავზე იღებს რისკს, მაგრამ მეწარმისგან რამდენადმე განსხვავებულს, მას უფლება არა აქვს იმ დონემდე გაკოტრდეს, რომ თვით დაიშალოს;

დაბოლოს, ეკონომიკასა და ბიზნესს შორის განსხვავებაზე ნათლად მეტყველებს ისიც, რომ თსუ-ს ყველაზე დიდ და პრესტიჟულ ფაკულტეტს ეწოდება „ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი“, რომელშიც გაერთიანებულია ორი ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო მიმართულება: „ეკონომიკა“ და „ბიზნესი“. ეკონომიკა, როგორც სასწავლო დისციპლინა ეროვნული მეურნეობის ფუნქციონირებისა და განვითარების შესახებ თეორიული ცოდნაა, ბიზნესის საფუძვლები კი-ბიზნესის კეთების ცოდნა-ტექნოლოგიაა.

1.3. ბიზნესის საფუძვლების საგანი

რა არის ბიზნესის საფუძვლების შესწავლის საგანი და რა შედის მასში?-

ამჟამად ბიზნესის (მეწარმეობის) შესახებ მრავალი უცხოური და პოსტსაბჭოური სახელმძღვანელო არსებობს. ბოლო ხანს გამომჩნდა ქართული სასწავლო ლიტერატურაც. მიუხედავად ამისა, არც ერთ მათგანში ჯეროვანი ყურადღება არ აქვს დათმობილი ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორცაა ბიზნესის საფუძვლების

საგანი და მეთოდი. არადა, ამის ობიექტური აუცილებლობა კარგა ხანია იგრძნობა. რადგანაც **ჯერ ერთი**, ბიზნესს (მეწარმეობას), როგორც ადამიანთა სამეურნეო ცხოვრების უმნიშვნელოვანეს სფეროს, საკმაოდ ხანგრძლივი და მდიდარი ისტორია გააჩნია, **მეორე**, მას აქვს მკვეთრად გამოხატული მიზანი, ამოცანები, ფუნქციები, კვლევის საგანი, ობიექტები და მათი შესწავლის ხერხები და **მესამე**, ლოგიკურად გაუმართლებელია ისწავლებოდეს დამოუკიდებელი დისციპლინა და მას კვლევის საკუთარი საგანი და მეთოდი არ გააჩნდეს. ამ მხრივ, რასაკვირველია, „ბიზნესის საფუძვლები“ გამონაკლისს არ წარმოადგენს. სწორედ ამიტომ **ისმის კითხვა - რას შეისწავლის ბიზნესის საფუძვლები, ანუ რა არის მისი კვლევის საგანი?**

ბიზნესის კვლევის საგანია მოგების მიზნით განხორციელებული სამეურნეო საქმიანობა და ამ საქმიანობის მონაწილეებს შორის ურთიერთობა. მასში შედის:

- **ბიზნეს-ოპერაცია**, ანუ მოქმედებების ერთობლიობა, დაწყებული ბიზნესის წამოწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებით, საკუთარი შესაძლებლობების შეფასებით, ბაზრის თავდაპირველი ანალიზის საფუძველზე საქმიანი იდეისა და კონცეფციის შემუშავებით, მისი რეალურობის დამასაბუთებელი და განხორციელების გეგმის შედგენით, ფირმის რეგისტრაციით, წარმოების ფაქტორების შეერთებით (ორგანიზებით) და დამთავრებული მზა პროდუქციის რეალიზაციითა და რეალიზაციის შემდგომი მომსახურებით;
- **ბიზნესის სისტემის სუბიექტების** (მეწარმეები, მომხმარებლები, დაქირავებული მუშაკები, სახელმწიფო სტრუქტურები) **ინტერესები და მათი სამეურნეო, კომერციული და ფინანსური ქცევები;**
- **ბიზნესის სახეობები** (საწარმოო, სავაჭრო, საფინანსო, საშუამავლო, სადაზღვევო) და **ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები;**
- **ბიზნესის ორგანიზების ძირითადი ფუნქციები** (მენეჯმენტი, მარკეტინგი, წარმოებრივი, ადამიანური რესურსების, ფინანსური, რისკების მენეჯმენტი და სხვა).
- **ბიზნესის სასიცოცხლო ციკლი** (დაბადება, მომწიფება, დაბერება, საქმიანობის შეწყვეტა);
- **ბიზნესის ეთიკა და სოციალური პასუხისმგებლობა.**
ბიზნესის საფუძვლების საგნიდან ლოგიკურია გადავიდეთ მის მიზანსა და ამოცანებზე.

1.4. ბიზნესის საფუძვლების მიზანი და მნიშვნელობა

ბიზნესის საფუძვლების შესწავლის აუცილებლობა მისი მიზნიდან და ამოცანებიდან გამომდინარეობს. **სასწავლო კურსის მიზანია**, მსოფლიო გამოც-

დიღების შესწავლა-განზოგადებისა და სამამულო პირობებისა და თავისებურებების გათვალისწინებით მომავალ და უკვე მოქმედ ბიზნესმენებს, მენეჯერებს დაეხმაროს საკუთარი საქმის წამოწყებისა და წარმატებული გაძღოლის მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული საკითხების გაგებასა და ათვისებაში. **უფრო მარტივად, სასწავლო კურსის მიზანია დაინტერესებულ პირებს დაეხმაროს ბიზნესის კეთების ტექნოლოგიის ანუ თეორიული და პრაქტიკული ცოდნის დაუფლებაში.** დიახ, ბიზნესი რომ აკეთო, უნდა იცოდე, რომ იცოდე, უნდა ისწავლო, მაგრამ რომ ისწავლო, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა სახელმძღვანელო ანუ ინფორმაციის წყარო.

რატომაა მნიშვნელოვანი ბიზნესის საფუძვლების ცოდნა? –ბიზნესის საფუძვლების ცოდნა უადრესად მნიშვნელოვანია შესაბამისი პროფილის სტუდენტებისათვის, რადგანაც მის გარეშე შეუძლებელია: ბიზნესის ადმინისტრირების (მართვის) სპეციალისტის ჩამოყალიბება; ბაკალავრიატის ზედა კურსებზე ფუნქციური დისციპლინების (მენეჯმენტი, მარკეტინგი, ექაუთინგი და სხვ.) ჯეროვანი დაუფლება და მაგისტრატურაში ცოდნის გაღრმავება;

ბიზნესის საფუძვლების ცოდნა მნიშვნელოვანია, ასევე, საკუთარი საქმის (ბიზნესის) წამოწყება-გაძღოლისა და მენეჯერად და კონსულტანტად დასაქმებისათვის როგორც სამამულო, ისე საერთაშორისო ფორმებში. არასპეციალისტთან შედარებით ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალისტის უპირატესობა, ისაა, რომ მან იცის გამართული, წარმატებული ბიზნესის ფუნქციონირების კანონზომიერებანი. ამდენად, მას უკეთ შეუძლია ამ კანონზომიერებების არა მხოლოდ დაცვა, არამედ გადახრების (პათოლოგიის) გამოვლენა და მათი აღმოფხვრისათვის ღონისძიებების შემუშავება-განხორციელება და რისკების შემცირება.

შეიძლება თუ არა საკუთარი საქმის გაძღოლა ბიზნესის სწავლების გარეშე? როგორც ბიზნესის განვითარების ისტორია და რეალური პრაქტიკა გვიჩვენებს - შეიძლება! ბევრი ბრწყინვალე ბიზნესმენის დასახელება შეიძლება (მათ შორის, სოფელ დირბორნიდან გლეხი სამუელ ფორდის შვილის, **ჰენრი ფორდის**), რომელთაც არ ჰქონიათ ზოგადი ბიზნეს-განათლება, მაგრამ ამას მათთვის ხელი არ შეუშლია წარმატებების მიღწევაში. ან კიდევ, აწ განსვენებული **კახა ბენდუქიძე**, რომელიც უმაღლესი განათლებით ბიოლოგი იყო, მაგრამ წარმატებული ბიზნესმენი და ეკონომიკის მინისტრი გახლდათ.

თუმცა, ვერავინ დაამტკიცებს, რომ მათ უმაღლესი ბიზნეს და ეკონომიკური განათლების (ცოდნის) შემთხვევაში უფრო მეტი წარმატება არ ექნებოდათ.

მართლაც, როგორც წინათ, ისე ახლა, განსაკუთრებით, წვრილი ბიზნესის წამოწყება შესაძლებელია წინასწარი სწავლებისა და სპეციალური მომზადების

გარეშე. თუმცა, როგორც კი გაიზრდება ბიზნესის მასშტაბები და გართულდება ეკონომიკური ურთიერთობები, საჭირო გახდება: ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლა; სადამფუძნებლო დოკუმენტების შემუშავება; ბიზნეს-გარემოსა და ბაზრის კვლევა; ბიზნეს-გეგმის შედგენა; ახალი კონტაქტების დამყარება და კონტრაქტების დადება; ადამიანებთან კეთილსინდისიერი და ურთიერთპასუხისმგებლური ურთიერთობების დამყარება; მათი ეფექტიანი მართვა; დამატებითი ფინანსური წყაროების, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის მოძიება; ახალ ბაზრებზე გასვლის გზების ძიება, ბუღალტრული აღრიცხვის, მარკეტინგის, მენეჯმენტის, რისკების მართვის დაუფლება და მრავალი სხვა. ყველაფერი ეს კი ჰბადებს ბიზნესის ორგანიზებისა და მართვის ცოდნის შექმნის აუცილებლობას. **ნუ დაივიწყებთ, რომ ბიზნესი სარისკო საქმიანობაა. ამ რისკის პრევენციის, შემცირების საუკეთესო პირობა კი ბიზნესის კეთების ცოდნაა.**

ხატონად, სათანადო ცოდნის გარეშე ბიზნესის წამოწყება გვაგონებს ზღვაში უკომპასოდ გასულ გემს. თუ საკუთარ საქმეს იწყებ მისი მართვაც უნდა შეგეძლოს. მეწარმეს ბიზნესის წარმოება-გაფართოებისას, ჩვეულებრივ, ესაჭიროება: **1. ბუღალტრები** - ფინანსური ანგარიშების წარმოებისათვის; **2. იურისტები** - იურიდიული საკითხებზე რჩევის მიღებისათვის; **3. საგადასახადო და საბანკო საქმის სპეციალისტები** - გადასახდებთან და კრედიტებთან დაკავშირებით; **4. სადაზღვევო აგენტები** - რისკების მართვისათვის; **5. კომპიუტერების კონსულტანტი** - კომპიუტერების გამოყენებასთან დაკავშირებით კონსულტაციისათვის და სხვა.

“ბიზნესის საფუძვლები” იმაზედ მიანიშნებს, რომ კურსი მოიცავს ბიზნესში მიმდინარე არა ყველა მრავალფეროვან მოვლენასა და პროცესს, არამედ ყველაზე ძირითადს ანუ ცოდნის იმ მინიმუმს, რომლის გარეშეც ქართველ ახალგაზრდებს, მომავალ და უკვე მოქმედ მეწარმეებს, მენეჯერებს გაუჭირდებათ საბაზრო ყაიდაზე აზროვნება-მსჯელობა, სამეურნეო-კომერციული ქცევა, ეფექტიანი ინვესტირება, სამეწარმეო საქმიანობის წამოწყება, გაშლა და გაფართოება.

1.5. ბიზნესის საფუძვლების ამოსავალი ცნებები

ყოველ დისციპლინას აქვს ცნებითი აპარატი (ინსტრუმენტარიუმი), რომლის მეშვეობითაც შეიცნობა ობიექტური სინამდვილე ანუ საკუთარი შესწავლის საგანი. ამ მხრივ, გამონაკლისი არც ბიზნესის საფუძვლებია. ისმის კითხვა - **რისთვის გვჭირდება ბიზნესის საფუძვლების ცნებების ცოდნა?** როგორც ხელოსნისაგან არ უნდა ველოდეთ სასურველ სამეურნეო შედეგს, როდესაც იგი შრო-

მის იარაღებს (ინსტრუმენტებს) ინსტრუქციის შეუსაბამოდ იყენებს, ისე ბიზნესის მკვლევარისგან ნაკლებად მოსალოდნელია რაიმე სასიკეთო ცნებების (ინსტრუმენტების) უზუსტოდ გამოყენების შემთხვევაში.

ცნებითი აპარატის კარგი ცოდნა გვეხმარება არა მხოლოდ ეკონომიკური სინამდვილის სწორად შეცნობაში და ბიზნესის ენაზე ზუსტად მეტყველებაში, არამედ ბიზნესის წარმატება-წარუმატებლობის მიზეზთა გამოვლენაშიც. მაგალითად, იმის გარკვევაში, ფირმის გაკოტრების მიზეზი ცუდი ბიზნეს-იდეაა (მეწარმეა), თუ არაკვალიფიციური და მოუქნელი ხელმძღვანელობა (მენეჯერი).

შინაარსით რომელი ცნებაა ფართო—“ბიზნესი” თუ “მეწარმეობა” და რაოდენობრივად მეწარმეა მეტი თუ ბიზნესმენი? — „მეწარმეობა“ შინაარსით უფრო ფართოა, ვიდრე „ბიზნესი“, რადგანაც მეწარმეობა თავისი არსით ბიზნესიც არის და კიდევ სხვა რამ - შემოქმედებითი ბიზნესიც. მეწარმეობა ბიზნესის ინოვაციური ფორმაა. რაოდენობრივი (მოცულობითი) თვალსაზრისით კი, პირიქით, - ბიზნესი უფრო მეტია, ვიდრე მეწარმეობა, რადგანაც რუტინული და შემოქმედებითი ბიზნესიც ორივე ბიზნესია. ასევე, ბიზნესმენები უფრო მეტნი არიან, ვიდრე მეწარმენი, რადგანაც რუტინი ბიზნესმენებიც და შემოქმედი მეწარმენიც, ორივე ბიზნესმენები არიან.

როგორ გესმით ცნებები: აქტიური და პასიური მესაკუთრე და მათგან რომლის ფორმირებაა მნიშვნელოვანი საქართველოსთვის. თავად თქვენ რას ამჯობინებდით—აქტიურ თუ პასიურ მესაკუთრეობას და რატომ?

— კერძო საკუთრება საბაზრო ეკონომიკის და, მაშასადამე, მეწარმეობის საძირკველია. საკუთრების უფლების დაცვის მყარი გარანტია მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს უმთავრესი კომპონენტია. საკუთრების დაცვა-ხელშეუხებლობაზე არის დამოკიდებული მეწარმეობისა და ეკონომიკის განვითარება. იქ, სადაც კერძო საკუთრება კანონით არ არის დაცული, ანუ მოსალოდნელია მისი ხელყოფა, ნაციონალიზება და კონფისკაცია, ან მეწარმის დაშანტაჟება და სახელმწიფოებრივი რეკვირება, ბიზნესი ვერ ჰპოვებს ჯეროვან განვითარებას და პირიქით (მაგალითად, ისეთი კლასიკური საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყანა, როგორცაა დიდი ბრიტანეთი). ე.ი. **საჭიროა სახელმწიფომ შეიმუშაოს და მკაცრად დაიცვას კანონი კერძო საკუთრების შესახებ, ხოლო კანონმა - მეწარმის საკუთრება.**

საკუთრების იურიდიული უფლება ნიშნავს მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებას. მაგალითად, ბანკი გირაოში ჩადებულ ქონებას ფლობს, მაგრამ არ სარგებლობს; მოიჯარე იჯარით აღებულ მიწის ნაკვეთს, ფლობს და სარგებლობს, მაგრამ არა აქვს მისი განკარგვის უფლება.

საკუთრება, როგორც ეკონომიკური კატეგორია, იურიდიულისგან განსხვავებით, ასახავს ეკონომიკურ აგენტებს შორის ურთიერთობებს ეკონომიკური რესურსები-

სა და სამომხმარებლო დოვლათის მითვისებასთან დაკავშირებით. საკუთრებაზე შემოსავალს ითვისებს მისი მესაკუთრე (დივიდენდს ღებულობს აქციის მესაკუთრე, ხელფასს - შრომის მესაკუთრე, რენტას - მიწის მესაკუთრე), ე.ი. ჯერ კუთვნილი ეკონომიკური რესურსებიდან ღებულობენ შემოსავალს და მერე ამ შემოსავლით იძენენ სამომხმარებლო საქონელს. მაშასადამე, ეკონომიკური რესურსების მითვისება არის პირველადი, განმსაზღვრელი სამომხმარებლო დოვლათის მითვისებასთან შედარებით. სწორედ ამიტომ ნებისმიერ ქვეყანაში მოსახლეობის დაყოფა მდიდარ და ღარიბ ფენებად ხდება ეკონომიკური რესურსებისადმი მათი განსხვავებული დამოკიდებულებიდან გამომდინარე. ჩვეულებრივ, მდიდრების ქვეშ მოიაზრება არა სამომხმარებლო დოვლათის მფლობელნი, არამედ ქარხნების, ფაბრიკების, ბანკების და სხვათა მესაკუთრენი.

ბიზნესი (მეწარმეობა) ყოველთვის გარკვეული ქონების მფლობელობასთან სარგებლობასთან და განკარგვასთან ანუ საკუთრების უფლებასთან არის დაკავშირებული.

ქონებაზე (საწარმოზე) საკუთრების უფლების მოპოვება შესაძლებელია მისი ახლად ჩამოყალიბებით, შესყიდვით, პრივატიზებით ან სხვა სახის სამოქალაქო გარიგების შედეგად. შესაძლებელია არა მარტო ქონების, არამედ მთლიანად საქმის (ბიზნესის) მომწოდებლებითა და კლიენტებითურთ შექენა, რაც საგრძნობლად ზოგავს საწყის სარეკლამო ხარჯებს.

დასავლეთის ქვეყნებში მოსახლეობის 75 პროცენტი მესაკუთრეა, მეწარმე კი (ე.ი. აქტიური მესაკუთრე) - 8-10 პროცენტი. მაშასადამე, საქართველოს ესაჭიროება არა უბრალოდ პასიური მესაკუთრე, რომელიც ქონებას მომხმარებლურად იყენებს, ან ნაკლებ რისკიანობის გამო შემოსავლების პასიური ფორმებით (დივიდენდი, რენტა, სარგებელი) შემოიფარგლება, არამედ, უწინარეს ყოვლისა, აქტიური (ეფექტიანი) მესაკუთრე ანუ მეწარმე, რომელიც მიდის რისკზე და ქონებას სამეწარმეო დანიშნულებით მოგებისთვის მოიხმარს.

ბიზნესმენისაგან განსხვავებით ვინ არის მეწარმე და ვის წარმოადგენდნენ პირველი მენეჯერები? – ბიზნესმენისაგან განსხვავებით მეწარმე არის ის, ვინც ფლობს და მართავს საკუთარ ბიზნესს. პირველი მენეჯერები სწორედ მეწარმეთა ფენას წარმოადგენდნენ: **როკფელერი** (ნავთობის ბიზნესი), **მორგანი** (ფოლადის ბიზნესი და საბანკო საქმე), **მელონი** (ალუმინის ბიზნესი), **კარნეგი** (ფოლადის ბიზნესი), **ფორდი** (ავტომობილების ბიზნესი) და მათი თანამედროვენი – **ბილ გეიტსი** (მაიკროსოფტ კორპორეიშენ), **სტივენ ჯობსი** (ეფლ) და სხვანი. მეწარმეობა გულისხმობს ბიზნესის ისეთნაირად წარმართვას, რომ შეიქმნას ახალი ბაზარი და ახალი მომხმარებელი. ე.ი. მეწარმეობა ინოვაციური პროცესია.

ბიზნესმენი უნდა იყოს ლიდერი, რათა შემოიკრიბოს ადამიანები, შთაუნერგოს მათ წარმატების რწმენა. წარუმატებლობისა თუ უფულობის პერიოდში კი შეინარჩუნოს საქმე და იმედი. დღეს სერიოზული საქმისათვის თავის გართმევა შესაძლებელია მხოლოდ თანამოაზრეთა გუნდით, საერთო მიზნით გაერთიანებული, შეკავშირებული ადამიანებით.

მეწარმე თავისი შრომის შინაარსით რომელი შემოქმედებითი პროფესიის ადამიანებს წააგავს?—მეწარმე თავისი შრომის შინაარსით ღიდად წააგავს ისეთი შემოქმედებითი პროფესიის ადამიანებს, როგორცაა: მეცნიერი, მწერალი და რეჟისორი. ასე მაგალითად: მეწარმე, შეიმუშავებს რა ახალ იდეას ან პრინციპულად სრულყოფს მას, გვაგონებს მეცნიერს, გამომგონებელს. მეწარმე, ამ იდეის მიხედვით წერს რა ბიზნეს-გეგმას (სცენარს), წააგავს მწერალს; მეწარმე, ამ სცენარის მიხედვით დგამს რა სპექტაკლს, გვაგონებს რეჟისორს (მენეჯერს).

რა განსხვავებაა მეწარმესა და გამომგონებელს (რაციონალიზატორს) შორის?— მეწარმესა და გამომგონებელს (რაციონალიზატორს) შორის განსხვავება იმაშია, რომ აუცილებელი არ არის მეწარმემ თვითონ შეიმუშაოს იდეა. შესაძლებელია, მან სხვის მიერ შემუშავებული იდეა დანერგოს. გამომგონებელმა (რაციონალიზატორმა) კი იდეა აუცილებლად თავად უნდა შეიმუშაოს.

1.6. ბიზნესის, როგორც სამეურნეო საქმიანობის ფუნქციები

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ ბიზნესის დაცვით ჩვენ ვიცავთ ცალკეულ ადამიანებს და მთლიანად საზოგადოებას. რატომ? იმიტომ, რომ ბიზნესი ქმნის საქონელსა და მომსახურებას, სამუშაო ადგილებს, შემოსავლებსა და გადასახადებს, ამალღებს შრომით და საქმიან მორალს, კანონისადმი პატივისცემას და სხვა. ე. ი. საჭიროა ბიზნესის დაცვა, რათა მან თავის მხრივ, დაიცვას ადამიანი, სახელმწიფო და მთლიანად საზოგადოება.

ბიზნესის, როგორც სამეურნეო საქმიანობის არსი და მნიშვნელობა კარგად ვლინდება მის ფუნქციებში, კერძოდ:

- ბიზნესი მოგებისა და მისი მონაწილეების მიერ შემოსავლების მიღების კარგი საშუალებაა;
- ბიზნესი ქმნის მრავალფეროვან მატერიალურ და სულიერ დოვლათს მომხმარებელთათვის;

- ბიზნესი ახალი სამუშაო ადგილების შექმნის, უმუშევრობის შემცირების ანუ დასაქმების დონის ამაღლებისა და კარიერის შექმნის კარგი საშუალებაა;
- ბიზნესი, როგორც ეკონომიკის შემოქმედი უშუალოდ მონაწილეობს ბაზრის ჩამოყალიბებაში და ირიბად (გადსახადებით) დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაში;
- ბიზნესი, როგორც კანონიერი, ეთიკური საქმიანობა საზოგადოებაში ამკვიდრებს კანონისადმი პატივისცემლურ დამოკიდებულებას, ამაღლებს შრომით და საქმიან მორალს, ვინაიდან ეთიკური ბიზნესი სხვა არაფერია, თუ არა წესიერი, ანუ წესებზე გაზრდილი და წესების დამცველი მეწარმეთა ფენა. ამ მომენტს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის, სადაც მეგობარს, ნათესავს და ქრთამს, ჩვეულებრივ, კანონზე მაღლა აყენებენ; ბიზნესი თავისი ეთიკითა და კულტურით გვასწავლის კანონის პატივისცემას და იმას, რომ კანონზე მაღლა ვერავინ დადგება. ბიზნესმენი მაკიაველი არ უნდა იყოს, ის არის პატიოსანი, თამაშის წესებით მოთამაშე და მისნაირი ადამიანები მაგალითია საზოგადოებისათვის, თუ როგორ უნდ ადაიცვან კანონი.
- კერძო საკუთრება და მეწარმეობა საქართველოში არის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სტაბილიზაციის გარანტი და, აქედან გამომდინარე, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ერთგვარი ბარომეტრიც; მართლაც, როცა ადამიანებს აქვს საკუთარი საქმე, სახლი და მიწის ნაკვეთი, ფულადი კაპიტალი, რომელიც შეუძლია დაუტოვოს მემკვიდრეს, ის სტაბილურობითაც არის დაინტესებული და სოციალური და ეროვნული თანხმობითაც. საბჭოური სავალალო გამოცდილებიდან ნათლად ჩანს, თუ რაოდენ საშიშია საზოგადოების ნორმალური ცხოვრებისათვის და განვითარებისათვის ადამიანი, რომელსაც არაფერი აქვს დასაკარგი.
- ბიზნესი ხელს უწყობს ადამიანებსა და ქვეყნებს შორის ეკონომიკურ ინტეგრაციას, ვინაიდან ბიზნესი ყველაზე დიდი ინტერნაციონალისტია, მან არ იცის საზღვრები და ეროვნებები. ბიზნესი მშვიდობის დესპანია. შეიძლება სახელმწიფოებს შორის არ იყოს დიპლომატიური კავშირ-ურთიერთობები, მაგრამ ასეთი სახელმწიფოების ფირმებს შორის არსებობდეს ბიზნეს-ურთიერთობები.
- ჩამოთვლილი ფუნქციებიდან ნათელია, თუ რაოდენ მიშვნელოვან როლს ასრულებს ბიზნესი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში.

ამჟამად, საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ საქართველოში მეწარმეობა კანონით ნებადართულია. არსებობს “საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ” და ბიზნესის მარეგულირებელი სხვა კანონები. თუმცა, ზემოთ ჩამოთვლილი ფუნქციები სამეურნეო პრაქტიკაში სრულად ვერ რეალიზდება. ეს იმიტომ, რომ მეწარმეობის იურიდიული უფლების მიღება და ნამდვილი, გერგილიანი მეწარმედ ჩამოყალიბება ერთი და იგივე არ არის. მეწარმეობის მზაობისათვის საჭიროა სწავლება, გარკვეული დრო და გამოცდილება. საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე ბიზნესის სრულფასოვან ჩამოყალიბებას სულ ცოტა სამი თაობის ცვლა ესაჭიროება. საქართველოში კი ბიზნესის სულ რაღაც 30 წლისაა. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ საქართველოს დღევანდელი მოსახლეობის დაახლოებით 75% საბჭოთა თაობაა, რომლისთვისაც, იმხანად გაბატონებული ეკონომიკური სისტემისა და იდეოლოგიის გამო, არავის უსწავლებია და, მასთანადამე, უცხოა გამდიდრების ანუ ბიზნესის წარმართვის მეთოდები. ვფიქრობ, სწორედ ეს არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი საქართველოში ფართოდ გავრცელებული უმუშევრობისა და ეკონომიკური სიდუხჭირისა.